# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

N627 2015 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

**„საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების“ საიმპლემენტაციო ოქმის დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე**

მუხლი 1.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს 2015 წლის 13 ნოემბერს ხელმოწერილი „საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების“ საიმპლემენტაციო ოქმი.

მუხლი 2.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული საიმპლემენტაციო ოქმის დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს სლოვაკეთის რესპუბლიკის მხარეს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული საიმპლემენტაციო ოქმის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**